შრომის ბაზრის დინამიკა საქართველოში: რა ფაქტორები განსაზღვრავს დასაქმებას?

ნაზი მწარიაშვილი

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციოლოგიის მაგისტრანტი)

ელენე ნამორაძე

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციოლოგიის მაგისტრანტი).

დასაქმება წარმოადგენს ერთ-ერთ ცენტრალურ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების დინამიკას და მოსახლეობის ცხოვრების დონეს. საქართველოს შრომის ბაზარი ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად შეიცვალა როგორც ეკონომიკური სტრუქტურის ტრანსფორმაციის, ისე გლობალიზაციის პროცესების გავლენით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უმუშევრობის დონე თანდათან მცირდება (2025 წლის პირველი კვარტლის პროცენტულ მაჩვენებელთან შედარებით, მეორე კვარტალში უმუშევრობის დონე 0.4%-ით შემცირდა)[1], ჯერ კიდევ უამრავი გამოწვევა არსებობს შრომის ბაზარზე. ერთ-ერთი ნიშანდობლივი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ინდივიდის დასაქმების ბაზარზე პოზიციონირებას, მნიშვნელოვნად დაკავშირებულია მის დემოგრაფიულ მახასიათებლებთან. სხვაგვარად, ტერმინი - biographical availability - ბიოგრაფიული ხელმისაწვდომობა/მზაობა გულისხმობს იმას, რომ სხვადასხვა დემოგრაფიულმა ფაქტორმა, შესაძლოა, გარკვეულ აქტივობებში ადამიანის მონაწილეობის შესაძლებლობა შეზღუდოს ან პირიქით - ხელი შეუწყოს მას. შესაბამისად, განსხვავებული სქესი, ასაკი, შემოსავლები, მიღწეული განათლების დონე და სხვა ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნების საქმიანობის სტატუსზე და შრომის ბაზართან ინტეგრაციაზე.

CRRC-ის 2024 წლის „კავკასიის ბარომეტრის“[2] გამოკითხვის შედეგებიდან იკვეთება სქესსა და სამსახურის ტიპს/სამსახურში დაკავებულ პოზიციას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი. χ^2 (ხი-კვადრატის) ტესტის შედეგად, გამოიკვეთა, რომ კაცები და ქალები განსხვავებულად არიან წარმოდგენილნი დასაქმების ტიპებსა და პოზიციებში. მიღებული

[1] *https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba*

[2] *https://caucasusbarometer.org/ge/cb2024ge/codebook/*

მონაცემებით, კაცები უფრო ხშირად არიან დასაქმებულნი კერძო სექტორში, განსაკუთრებით კი ბიზნესსა და მენეჯერულ პოზიციებზე. კაცებს უფრო ხშირად უკავიათ მაღალი თანამდებობრივი პოზიციები, ვიდრე ქალებს, რაც მიუთითებს ეკონომიკური შესაძლებლობების არათანაბარ განაწილებაზე. ქალების შემთხვევაში შეინიშნება კაცებთან შედარებით უფრო მაღალი წარმომადგენლობა საჯარო სექტორში, მცირე ადგილობრივ საოჯახო ბიზნესში/საოჯახო საწარმოში.



მაგალითად, იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც უძღვებიან საკუთარ ბიზნესს/თვითდასაქმებულები არიან, მათ შორის, ჰყავთ დაქირავებული თანამშრომლებიც, 82% არის კაცი, 18%-ქალი, ხოლო ისინი, ვინც უძღვებიან საკუთარ ბიზნესს/თვითდასაქმებულები არიან, თუმცა არ ჰყავთ დაქირავებული თანამშრომლები, 64% კაცია და 36%-ქალი. ასევე, მათგან, ვინც მუშაობენ ადგილობრივ ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაში, 73% არის კაცი, ხოლო 27%-ქალი. ხოლო მათ შორის, ვინც დასაქმებულნი არიან საჯარო სექტორში 45% კაცია, 55%-ქალი. ზემოაღნიშნულ მონაცემები ეხმიანება UN Women-ის კვლევას „დასაქმება და გენდერი საქართველოში“, რომლის მიხედვითაც, განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სექტორებში ქალები დომინირებენ, მაშინ, როცა, მაგალითად, მეწარმეობა მიიჩნევა მეტად მასკულინურ სფეროდ.[3] ამასთან, მცირე

[3] *https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-09/Employment and gender in Georgia english.pdf*

ადგილობრივ საოჯახო ბიზნესში დასაქმებულთა შორის კაცებსა და ქალებს შორის პროცენტული განაწილება იგივეა. ხი-კვადრატის ტესტი ადასტურებს, რომ სქესსა და სამუშაო ტიპს შორის ურთიერთკავშირი სტატისტიკურად მნიშვნელოვნია. ეს შედეგი მიუთითებს, რომ სამუშაო ტიპების განაწილება შემთხვევითი არ არის და მასში აშკარად აისახება განსხვავებები სქესის მიხედვით, რაც დაკავშირებულია როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ-კულტურულ ფაქტორებთან.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი იკვეთება სქესისა და ყოველთვიური პირადი შემოსავლის ურთიერთგანაწილებებს შორის. როგორც დიაგრამიდან ჩანს, შემოსავლის განაწილება მკვეთრად განსხვავდება კაცებსა და ქალებს შორის. ბინარული ლოჯიტიკური რეგრესიული ანალიზითაც დადასტურდა, რომ სქესი სტატატისტიკურად მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული შემოსავალთან. მეტად მოსალოდნელია, რომ კაცებს უფრო მაღალი შემოსავალი ჰქონდეთ, ვიდრე ქალებს. აღნიშნული ტენდენცია კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს შრომით ბაზარზე არსებულ დისბალანსზე.



იმ რესპონდენტთა შორის, რომელთა თვიური შემოსავალი აღემატება 2000 ლარს, კაცები შეადგენენ 71%, ხოლო ქალები მხოლოდ 29%-ს. მსგავსად, 1301-2000 ლარის დიაპაზონში შემოსავლის მქონე რესპონდენტთა დაახლოებით 2/3 კაცია, ხოლო ქალების წილი ამავე კატეგორიაში არის მხოლოდ დაახლოებით 1/3. რაც უფრო იზრდება შემოსავლის დონე, მით უფრო მკვეთრად მატულობს კაცების წილი და მცირდება ქალების წილი მაღალშემოსავლიან

კატეგორიებში. ამასთან, შედარებით დაბალ შემოსავლის მქონე ჯგუფებში, კერძოდ, 550 ლარამდე ან 551-900 ლარის შუალედში, სურათი სრულიად საპირისპიროა - ქალები დომინირებენ 64-66%-ით, ხოლო კაცები შეადგენენ მხოლოდ 34-36%-ს. ეს მიუთითებს, რომ ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია დაბალანაზღაურებად პოზიციებზე ან ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ იმივე სამუშაოს შესრულებისთვის.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ასევე იკვეთება ასაკსა და დასაქმების სტატუსს შორის. დასაქმების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ასაკობრივ ჯგუფებს შორის. მონაცემების მიხედვით, ყველაზე აქტიური დასაქმების მაჩვენებელი დაფიქსირდა 35-54 წლის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც 66% მიიჩნევს, რომ ამჟამად დასაქმებულია, ხოლო მხოლოდ 32% აცხადებს, რომ არ მუშაობს. ეს ასაკობრივი კატეგორია შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურად ყველაზე აქტიურად. მეორე მხრივ, 18-34 წლის ინტერვალში დასაქმების მაჩვენებელი შედარებით დაბალია-53% თავს თვლის დასაქმებულად, ხოლო 47%-არა. ყველაზე დაბალი დასაქმების მაჩვენებელი ფიქსირდება 55 წლის და ზემოთ ასაკობრივ კატეგორიაში, სადაც მხოლოდ 28% არის დასაქმებული, ხოლო 72% დაუსაქმებელია. ნიშნანდობლივია, რომ ამ ასაკობრივ კატეგორიაში დაუსაქმებელთა დიდი წილი მოდის პენსიონერებზე.

ზემოაღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 35-54 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენს შრომითი ძალის ძირითად ბირთვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივ კატეგორიაში სახელფასო განაწილება უფრო დაბალია, ვიდრე 18-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში.



2000 ლარზე მეტი ყოველთვიური შემოსავალი 18-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაში რესპონდენტთა 52%-ს აქვთ, ხოლო 35-54 წლის კატეგორიაში - 35%-ს. ამავდროულად, 551-900 ლარის შემოსავალი ძირითადად ფიქსირდება 35-54 წლის (44%) და 55+ (37%) ასაკობრივ კატეგორიაში. თუმცა, საგულისხმოა, რომ 18-34 წლის და 35-54 წლის ასაკობრივ კატეგორიებს შორის, ფაქტობრივად, თანაბრად ნაწილდება იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებსაც პირადი შემოსავალი არ უფიქსირდებათ.

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი ასევე იკვეთება ასაკსა და უმუშევრობის ხანგრძლივობას შორის. ამ კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არასდროს ყოფილან დასაქმებულნი, მათგან 44% მოდის 18-34 წლის ასაკობრივ კატეგორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, უნდა ითქვას, რომ 2021 წლის ,,კავკასიის ბარომეტრის'' მონაცემებთან შედარებით, მაჩვენებელი შემცირებულია (2021 წლის კვლევაში ეს მონაცემი 51%-ს უტოლდებოდა).[4]

2024 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემებით, სამუშაოს აქტიურ მაძიებლად თავს აიდენტიფიცირებს გამოკითხულთა 22% (აქტიურ სამუშაოს მაძიებლად ითვლება ადამიანი,

[4] *https://caucasusbarometer.org/ge/cb2021ge/AGEGROUP-by-HAVEJOB/*

რომელიც ბოლო 4 კვირის განმავლობაში ცდილობდა სამუშაოს პოვნას). სამსახურის მაძიებელთა განაწილებასთან მიმართებით საკმაოდ მცირეა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელებიც სამუშაოს პოვნისათვის მიმართავენ LinkedIn-ს. კერძოდ, საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა მხოლოდ 2%-მა განაცხადა, რომ LinkedIn-ს იყენებს, ხოლო 95%-არა, მიუხედავად იმისა, რომ LinkedIn-ის, რომელიც გლობალურად აღიარებული პლატფორმაა დასაქმებისთვის, საშუალებით ადამიანები უკავშირდებიან კოლეგებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს, ეძებენ ვაკანსიებს, ავლენენ საკუთარ პროფესიულ შესაძლებლობებს და ხდებიან ადგილობრივი და გლობალური შრომითი ბაზრის ნაწილი. თავის მხრივ, CRRC-ის კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში სამუშაოს მოპოვების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორების ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: განათლება (27%), ნაცნობობა (27%), პროფესიონალიზმი და სამუშაო გამოცდილება (15%), შრომისმოყვარეობა (9%) და გამართლება (6%). ფორმალური განათლება კვლავ აღიქმება, როგორც კარიერული წინსვლის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, თუმცა, საინტერესოა ისიც, რომ განათლებას არ აქვს აშკარა უპირატესობა ნაცნობობაზე. ლოჯისტიკური რეგრესიის შედეგები მიუთითებს, რომ დასაქმებაში „ნაცნობობის“ მნიშვნელობის აღქმა ძირითადად ასაკითა და განათლებით არის განპირობებული.

ნაცნობობის დასახელება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში კარგი სამსახურის საშოვნელად?
(პროგნოზირებული ალბათობები)



ასაკობრივი ეფექტი მკაფიოდ კლებადია: ახალგაზრდა რესპონდენტები მნიშვნელოვნად უფრო ხშირად მიიჩნევენ ნაცნობობას დასაქმების განმაპირობებელ ფაქტორად, ვიდრე 55+ ასაკის ჯგუფი. განათლების შემთხვევაში, ტექნიკური/პროფესიული განათლების მქონე რესპონდენტები სტატისტიკურად უფრო ხშირად ასახელებენ ნაცნობობას მნიშვნელოვან პირობად. მათთან შედარებით, საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ჯგუფები 11 პროცენტული პუნქტით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ დაასახელებენ „ნაცნობობის“ ფაქტორს.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ბაზარზე პოზიციონირება საქართველოში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინდივიდის სქესსა და ასაკზე. სქესის ჭრილში განსხვავებები მკვეთრად აისახება როგორც სამუშაოს ტიპში, ისე შემოსავლებში - კაცები დომინირებენ კერძო სექტორში და მაღალანაზღაურებად პოზიციებზე, ხოლო ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი საჯარო სექტორში დაბალანაზღაურებად პოზიციებზე. დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 35-54 წლის ასაკობრივ კატეგორიაზე, რაც ასახავს ქვეყნის შრომითი ბირთვის ძირითად პროფილს.

ტექსტში წარმოდგენილ შედეგებს შორის განსხვავებები შემოწმდა დამოუკიდებელი ჯგუფებისთვის ხი-კვადრატის ტესტის გამოყენებით. დამატებით, ასოციაციების შეფასებისა და გავლენის ფაქტორების განსაზღვრისთვის გამოყენებულ იქნა ბინარული ლოჯისტიკური რეგრესია. მიღებული შედეგები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 95%-იან სანდოობის დონეზე ($p < 0.05$).

წინამდებარე ანგარიში მომზადდა პროექტის „ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩართულობისთვის“ ფარგლებში, რომელიც CRRC-საქართველოს მიერ შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით განხორციელდა.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ მის ავტორებს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს CRRC-საქართველოს ან შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) ოფიციალურ პოზიციას.